ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №94

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 28 ივლისი 2013 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ ა(ა)იპ- „ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის" დირექტორი მუხრან ვახტანგაძე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "EMI" დირექტორი ბადრი მანველიძე (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

11 ცალი თასი (CPV კოდი:18500000), შემდგომში საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 198 (ასოთხმოცდათვრამეტ) ლარს და 00 თეთრს.
2.2. ერთი ცალი თასის ღირებულებაა - 18 ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №14.
5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2013 წლის 28 ივლისიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირთა ჯგუფი, რომელთა შემადგენლობას შემსყიდველი მიმწოდებელს აცნობებს წინასწარ.
7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი

EMI

მიმწოდებელი

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალიწსინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღის ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2013 წლის 28 ივლისიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე.

ა(ა)იპ "ქ. ბათუმის სასპორტო სკოლა"	შპს "EMI"
ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. №14	ქ.ბათუმი ანგისის ქ. №31
საიდენტიფიკაციო კოდი 445404884	საიდ.კოდი 445389393
ს.ს "ლიბერთი ბანკი"	ს.ს"პროკრედიტ ბანკის"
კოდი LBRTGE22	კოდი MIBGGE22
ანგარიშიN№GE 88 LB 0121162303587000	ანგარიში № GE 27PC0343600100013008
დირექტორი: მ. ვახტანგაძე	დირექტორი: ბ. მანველიძე
შემსყიდველი	მიმწოდებელი